

ისლამი აჭარელ ეკომიგრანტებში სოფელ გუმბათის მაგალითზე
(ლოკალური ისლამის კვლევა)

თამთა ძირკვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა ძირკვაძე

08/02/2022.

აბსტრაქტი

ნაშრომში შესწავლილია ისლამი აჭარელ ეკომიგრანტებში, სოფელ გუმბათის მაგალითზე. წალკის რაიონ სოფელ გუმბათში, სადაც ეთნიკურად ბერძენი მოსახლეობა ცხოვრობდა, 1990-იანი წლებიდან, როდესაც ისინი საბერძნეთში წავიდნენ საცხოვრებლად, ამ სოფელში სტიქიურად დაზარალებული მაღალმთიანი აჭარის რამდენიმე სოფლიდან ჩამოსახლეს მუსლიმი აჭარლები.

ნაშრომში განხილულია ისლამის მნიშვნელობა და როლის აჭარელი ეკომიგრანტების ყოველდღიურ ცხოვრებაში, რელიგიური პრაქტიკა და მათი ცვლილება ახალ გარემოში.

ბიოგრაფიული და ეთნოგრაფიული მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგები ასახავს აჭარელი ეკომიგრანტების გუმბათში ცხოვრებას ჩამოსახლებიდან 22 წლის შემდეგ, მათ რელიგიურ თვითაღქმას, ყოველდღიურ ისლამს და რელიგიურ იდენტობასთან დაკავშირებულ გამოცდილებებს.

საკვანძო სიტყვები: ისლამი, აჭარლები, გუმბათი, ეკომიგრაცია, რელიგია.

Abstract

This paper examines Islam among Adjarian eco-migrants using the example of the village of Gumbati. Since the 1990s, when ethnic Greeks living in the village of Gumbati in Tsalka region emigrated to Greece, Adjarian Muslims have been resettled from several villages in high mountain Adjara that suffered from natural disasters. The paper examines the meaning and role of Islam in the everyday life of Adjarian eco-migrants, religious practices, and their changes in

the new environment. The results of the biographical and ethnographic study reflect the lives of Adjarian eco-migrants living in Gumbati 22 years after their settlement, their religious self-perception, everyday Islam, and experiences related to religious identity.

Keywords: Islam, Adjarians, Gumbati, eco-migration, religion.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემს თემის ხელმძღვანელს, ქალბატონ სოფიკო ზვიადაძეს, რომელმაც დამარწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში და მუდმივად მაძლევდა მოტივაციას, რომ ნაშრომზე მემუშავა.

ძალიან დიდ მადლობას ვუხდით ჩემი ოჯახის წევრებს: დედას, ცირა კახაძეს, რომლის გარეშეც ვერასდროს ვიპოვიდი საკმარის ძალას, რომ დამეწერა, მამას, რამაზ ძირკვაძეს, რომელიც ჩემთვის ცოცხალი ენციკლოპედია იყო, ჩემს პატარა დას, ნუსას, რომელიც ყურადღებით უსმენდა სკოლის მეგობრებს, რელიგიაზე თემები, რომ არ გამორჩენოდა და ჩემთვის მოეყოლა, ჩემს ძმას, ბექას, რომელიც ყოველთვის იმ დროს გამოჩნდებოდა, როცა აღარათურის იმედი აღარ მქონდა და ბიძაჩემს, ნოე ხოზრევანიძეს, რომელმაც წლებისწინანდელი სიცხადით გააცოცხლა გუმბათის ამბები. და ბოლოს, მადლობა ჩემს მეგობრებს: ნაირას, რომლის მოტივაციისა და ემოციური მხარდაჭერის გარეშე ერთ ფურცელსაც ვერ დავწერდი, ეკატერინეს, რომელიც საზღვრების მიღმიდანაც კი ახერხებდა ჩემს გამხნევებას, ხატიას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია, მქონოდა წერის სურვილი და ირაკლის, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მიმეორებდა, რომ მე ეს შემოძლია.